



## ასოციაცია „ქართული ღვინო“

### ქვევრის ღვინის საერთაშორისო კონკურსი:

ასოციაცია „ქართული ღვინო“- ს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, 2019 წლის 21 და 22 ივნისს, საქართველოში ქვევრის ღვინის საერთაშორისო კონკურსი უკვე მესამედ ჩატარდება.

### კონკურსის მიზანი:

- ) მსოფლიოსთვის საუკეთესო ქვევრის ღვინოების წარდგენა (როგორც ქართული ასევე უცხოური);
- ) ქვევრის ღვინის წარმოების და მოხმარების ხელის შეწყობა;
- ) სხვადასხვა ქვეყანაში წარმოებული ქვევრის ღვინის ცნობადობის ამაღლება

### კონკურსში მონაწილეობის წინაპირობა:

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ ქვევრის\* ღვინის მწარმოებლებს, მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნიდან და რეგიონიდან. კონკურსში მონაწილე შეიძლება იყოს: ღვინის საწარმო, ინდივიდუალური მეღვინე, კოოპერატივი ან მეღვინეთა გაერთიანება.

კონკურსში მონაწილე კომპანიამ თუ კერძო პირმა ნიმუშები შემდეგი სახით უნდა წარადგინოს:

- ) ღვინო ქვევრში უნდა იყოს დაყენებული, ქვევრში ღვინის დაყენების ტექნოლოგიის წესების დაცვით;
- ) ღვინო უნდა იყოს გასაყიდად ბოთლში ჩამოსხმული;
- ) წარდგენილი ღვინის წლიური მინიმალური წარმოება 400 ბოთლზე ნაკლები არ უნდა იყოს;
- ) ბოთლის ეტიკეტი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
  - მწარმოებელი კომპანიის სრული დასახელება
  - ღვინის დასახელება
  - ჩამოსხმის წელი
  - ყურძნის ჯიშში
  - რეგიონი/ქვეყანა
  - მოცულობა

## **ნიმუშების წარდგენა:**

წარდგენილი თითოეული ნიმუში უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- ⌋ წარდგენილი უნდა იყოს ერთი დასახელების ღვინის 3 ნიმუში ( ბოთლი= 0.75ლ)
- ⌋ ბოთლს უნდა ჰქონდეს კომერციული ეტიკეტი

ნიმუშების მოტანამდე საჭიროა ელექტრონული ანკეტის შევსება და მისი გამოგზავნა ელ-ფოსტით მისამართზე- [qvevri@gwa.ge](mailto:qvevri@gwa.ge) **2019 წლის 14 ივნისამდე.**

ნიმუშები უნდა გამოიგზავნოს ასოციაცია „ ქართული ღვინო“-ს მისამართზე : მთაწმინდის ქ. 12, 0108 თბილისი, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 11:00 -დან 17:00 საათამდე. საკონკურსო ნიმუშების გამოგზავნის ბოლო ვადა არის **2019 წლის 14 ივნისი.**

ნიმუშები, რომლებიც არ შეესაბამება საკონკურსო წესებს, უკან არ გადაიგზავნება.

## **ნიმუშის საფასური და გადახდის მეთოდი:**

ნიმუშის წარდგენის საფასური შეადგენს 50 ლარს დღგ-ს ჩათვლით.

მიმღების სახელი: ააიპ ასოციაცია „ ქართული ღვინო“

მიმღები ბანკი“ ს.ს. „ თიბისი ბანკი“

ბანკის კოდი: TBCBGE22

მიმღების ანგარიში: GE62TB7055136080100006

დანიშნულება: ქვევრის ღვინის საერთაშორისო კონკურსის საფასური  
თანხის ჩარიცხვა უნდა მოხდეს 2019 წლის 14 ივნისის ჩათვლით.

*გადარიცხვის ფურცელი თან უნდა დაურთოთ მოტანილ ნიმუშებს.*

## **ნიმუშების მიღება და დასაწყობება:**

ასოციაცია „ქართული ღვინო“ შეამოწმებს მიღებულ ნიმუშებს და თანდართულ დოკუმენტაციას. წესების დარღვევით წარდგენილი ნიმუშები კონკურსში მონაწილეობას არ მიიღებს. ორგანიზატორების მიერ ნიმუშების შენახვა მოხდება უსაფრთხო ადგილას, ღვინის შენახვის ოპტიმალური პირობების უზრუნველყოფით.

## **ჟიური:**

საკონკურსო ნიმუშებს გასინჯავს ქართველი და უცხოელი ექსპერტებისგან შემდგარი ჟიური. ჟიურის წევრების რაოდენობა განისაზღვრება მიღებული ნიმუშების რაოდენობით.

კომპანიის ანონიმურობა გასინჯვისას დაცული იქნება.

**ჯილდოები:**

ჯილდოს დამადასტურებელი დიპლომი გადაეცემა ან გადაეგზავნება სარეგისტრაციო ფურცელში აღნიშნულ ღვინის მფლობელს.

**შენიშვნა:**

საპრიზო კატეგორიების შესაბამისი სტიკერების დამზადება მოხდება მხოლოდ ასოციაცია „ქართულ ღვინო“-სთან შეთანხმებით.

*\*ქვევრის ღვინო - ღვინო, რომელიც დადუღებული და დავარგებულია არანაკლებ მისი დაწურვის წლის 31 დეკემბრამდე, სრულ ან ნაწილობრივ ჭაჭაზე.*